№ 469. ორშაბათი, 1 მარტი. 1896–1898 ორშაბათი, 1 მარტი, № 469.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კა.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фреилинпская №13
Телефонъ № 363.

ახალ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
პირველ მარტიდან წლის დამლევამდე
ეღირება 5 მანათი
ყველა ნობათებითა და პრემიებით

XXXX
გამოვიდა და იყიდება
უბის წიგნი
1898 წლისათვის
= მშვენიერის ყდითა და ყარანდაშით =
ფასი 20 კაპ.

უბის წიგნში მოქცეულია მართლ-მადიდებელთა კალენდარი, უქმეები და დღესასწაულნი დაბეჭდილია წითელის ფერადებით და სურათები მეფე ერეკლე II-სა და თავ. ილია ჭავჭავაძის მოკლე ბიოგრაფიულის ცნობებით.

ვინც „ცნობის ფურცლის“ რედაქციიდან გამოიწერს, ფოსტის ფული არ დაეხარჯება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკები გამოგზავნონ.

ფორტოპიანოს ქარხანა
ა. კოპპისა
მიხეილის ქუჩა № 132, ტფილისში



ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ იგი ამზადებს და აკეთებს ფორტოპიანოს თავისს ქარხანაში ახალის საქვეყნოდ ცნობილის მექარხნეს ბლუტნერის წეს-რიგით და მოწყობით.
სიმაგრე და სისწორე-სიწმინდე საქმისა საგანგებოა

Фортепіанная фабрика А. Коппъ
Тифлисъ, Михайловская ул. № 132
Приготовленіе піанино по новѣйшей конструкціи
всемірно извѣстной фабрики Блютнера
За пѣвучесть тона и прочность полноручательство (25—25)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1898 ГОДЪ НА
ЖУРНАЛЪ ЖУРНАЛОВЪ
и
Энциклопедическое Обозрѣніе.

Новое иллюстрированное ежемѣсячное изданіе **безъ предварительной цензуры**, составленное отчасти по образцу иностранныхъ журналовъ Review of Reviews (англійскаго и американскаго). Rovue des Revues и др.

Кромѣ оригинальныхъ статей, написанныхъ спеціально для журнала выдающимися учеными и мыслителями, какъ русскими, такъ иностранными, журналъ помѣщаетъ извлеченія или экстракты изъ статей извѣстнѣйшихъ авторовъ и замѣчательнѣйшихъ статей, появляюшихся въ русской или иностранной печати.

Въ программу журнала входятъ: науки естественныя, медицинскія, физико-математическія, исторія и общественныя науки, философія, метафизика и психологія, искусства и критика, обозрѣніе журналовъ, смѣсь и проч.

Отдѣлъ наукъ естественныхъ и медицинскихъ будетъ выходить при ближайшемъ сотрудничествѣ и подъ наблюденіемъ Академика Князя И. Р. Тарханова.

Отдѣлъ исторіи и общественныхъ наукъ—при сотрудничествѣ и подъ наблюденіемъ В. Ф. Головачева.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:
на роскошное изданіе за годъ съ доставкою и пересылкою 10 р.
на дешевое изданіе за годъ съ доставкою и пересылкою 6 р., на дешевое изданіе за годъ безъ доставки 5 у.

(Разсрочка на дешевое изданіе съ пересылкою и доставкою допускается при ежемѣсячныхъ взносахъ по 2 рубля въ теченіе 3-хъ мѣсяцевъ).

Контора и редакція въ С.-Петербургѣ, Гороховая 13 (уг. Б. Морской). (12—7) Издатель-Редакторъ И. П. Кондыревъ.

ფოტოგრაფიი
ალექსანდრე როინაშვილისა
ყიდულობს
ძველ ნივთებს და საგნებს—რკინისას, თუჯისას, ბრინჯაოსის, ვერცხლისას, ოქროსას, თიხისას, ქვისას, ფაიფურისას, რქისას და ძვლისას.
ხელ-საქმეს ძველებურის ხელობისას და ნაქსოვ-ნაქარგს და სხვა.
სამკაულს სხვა და სხვას ძველ დროინდელს
ძველს ფულებს და იარაღებს
მსურველთ მიჰმართონ ყოველ-დღე ერევნის მოედანზე საკუთარს ფოტოგრაფიაში
იქვე შეიძლება
სურათების გადაღება
იაფად, სწრაფად და ხელოვნურად.
Фотографія А. С. Роинова
тамъ-же
Коллекція древностей
Тифлисъ, Эриванская пл. д. Харазовой
(100—47

მთავრობისაგან ნება დართული
პანსიონი და სასწავლებელი
მასწავლებელი ქალის
ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხელატუროვის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში.
ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფეენიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას (პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. 3 საათამდე.

пансіонъ и училище
Учительницы
Н. ДИДЕБУЛИДЗЕ
Тифлисъ, Михайловок. ул. № 146.
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансіонерк. Квартиры съ полнымъ содержачніемъ для учениць гимназіи. Обученіе музыкѣ
(150—103)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი ს. ბ თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

ახალი ამბავი

—

*** **მთავარ-მართებლის დაბრუნება პეტერბურგიდან.** როგორც ისმის, კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინი დაბრუნდება ტფილისში 26 მარტს.

*** **მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი ვლადიმირი,** მიტროპოლიტი მოსკოვისა და კოლომნისა, როგორც ისმის, მომავალი კვირის გასულს აპირებს გამოეთხოვოს თავის სამწყსოს და გაემგზავროს მოსკოვს. მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ვლადიმირი ყოველ დღე იღებს აუარებელ მოლოცვის წერილებს თავისი სამწყსოს ყოველი კუთხიდან.

*** **ქალის მოტაცების საქმე.** თ. ამილახვრისა, თავ. ერისთავისა და გარსევანიშვილის საქმე, რომელთაც ქალის მოტაცება ბრალდებათ, დანიშნულია განსახილველად 22 მომავალ აპრილისათვის სამოსამართლო პალატაში.

*** **შემწეობა ხელმწიფა იმპერატრიცასაგან.** მთავარ-მართებლის კანცელარიამ გადასცა ტფილისის გუბერნატორს 1,249 მან., რომელიც დაენიშნათ ერთ დროებითი შემწეობად ტფილისის გუბერნიის იმ მცხოვრებთ, რომელთაც თხოვნები მიართვეს შემწეობის შესახებ ხელმწიფა იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს, მისი უდიდებულესობის აბასთუმანში ყოფნის დროს.

*** **ქართველ მოწაფეთა რიცხვი სახელმწიფო სასწავლებელში.** ბ. ნ. ცხვედაძე ამტკიცებს გაზ. „ივერიაში“, რომ ქართველ მოწაფეთა რიცხვი ძლიერ მცირეა სახელმწიფო სასწავლებელში და ეს რიცხვიც, რაც დრო გადის, მით უფრო და უფრო კლებულობს. ამ მოვლენის მიზეზად ბ. ნ. ცხვედაძე ასაბუთებს იმ გარემოებას, რომ ქართველობა უმეტესად სოფლად ცხოვრობს და ამის გამო მას უფრო უძნელდება ყმაწვილების მომზადება სახელმწიფო სასწავლებლისათვის, ვიდრე მოქალაქესაო. ამ არა სასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად ბ. ცხვედაძეს საუკეთესო საშუალებად მიაჩნია სათავად-აზნაურო სკოლის გადაკეთება გიმნაზიად.

*** **„სირანო ბერჟერაკელი“,** როსტანის დრამა. ჩვენ შევიტყუეთ, რომ კოტე მესხი უკვე შესდგომია ზემოდ ხსენებული დრამის თარგმნას ლექსად. ამავე პიესას, როგორც მკითხველებმა უწყიან გუშინდელ ჩვენის გაზეთიდგან, სთარგმნის ბ-ნი მ—ნი.

*** **რიყის უზრუნველ-ყოფა წყალდიდობის დროს.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა: გარდა ქალაქის ხელთ მყოფ მისაშველებელ ნავების მოწესრიგებისა, შეძენილ იქმნეს რამდენიმე ახალი ნავი, მიეცეს პოლიცმეისტერს 50 მუშა და 16 ფარდული მცხოვრებთა თავშესაფარად, რომელთაც წყალი იძულებულ გახდის სახლებიდან გამოვიდნენ, აგრეთვე დაქირავებულ იქნეს იმავე მიზნით სადგომი წყლით დაუზარალებელ ადგილზე, რიგის მახლობლად.

*** **წიგნთ-საცავის დაარსება.** როგორც იწერებიან, სოფ. აკურაში (თელ. მაზ.) რამდენსამე ადგილობრივ მცხოვრებს აზრად ჰქონია დაარსონ უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო.

*** **სააღგილ-მამულო ბანკების ორგანიზაციის შეცვლა.** როგორც გაზ. „კავკაზს“ პეტერბურგიდან სწერენ, 26 თებერვალს სახელმწიფო საბჭოს, კავკასიის მთავარ-მართებლის თანადასწრებით, უნდა განეხილა ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკების ორგანიზაციის შეცვლის საქმე.

ამ საგნის შესახებ 1895 წლის განმავლობაში შემუშავებულ იქმნა რამდენიმე პროექტი: ფინანსთა სამინისტროსი, ორის გუბერნატორისა, ქუთაისისა და ტფილისის თავად-აზნაურობისა და ბანკის გამგეობისა. შემდეგ 1896 წელს ამავე საგნის შესახებ წარუდგინა თავისი აზრი ფინანსთა სამინისტროს მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გრაფმა ტატიშჩევმა, რომელმაც ეს საგანი ყოველ მხრივ განიხილა; გრ. ტატიშჩევმა უარჰყო ყველა ზემოხსენებული პროექტები და დაადგინა ახალი საფუძველი აღნიშნული საგნის გამოსაკვლევად. გრ. ტატიშჩევის აზრი მოიწონა ახლად დანიშნულმა კავკასიის მთავარ-მართებელმა, თავ. გოლიცინმა, შემდეგ კი ამავე აზრს შეუერთდნენ შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროები.

*** **ახალი სასწავლებელი პეტერბურგში.** ამ მოკლე ხანში გზათა სამინისტრო განიხილავს პროექტს

პეტერბურგში ისეთი სასწავლებლის დაარსების შესახებ, რომელმაც უნდა მოამზადოს რკინის გზის მოსამსახურე პირნი, როგორც მაგალითად, სადგურის უფროსები, მათი თანაშემწენი, კონდუქტორები, მოანგარიშენი და სხ.

⁂ **წიგნების მოვაჭრეთა მიმართ.** 1890 წელს მე გამოვეცი „პრუდონი“ და საქართველოს თითქმის ყველა წიგნის მაღაზიებს დავურიგე საკომისსიოდ ზოგს 20, 30, 40, 50 და მეტიც, დღემდის მე არავისაგან (გარდა წერა-კითხვის გამავრცელებელი წიგნის მაღაზიისა), არა მიმიღია-რა; ეხლა, როდესაც პეტროვსკის ქართველობა და ქართველი მეზღვაურნი კასპიის ზღვისა, ასე მწყურვალედ დაეწაფნენ სახალხო ქართულ წიგნების კითხვას—და წიგნებს ვსაჭიროვობთ, ვსთხოვ ყველას, ვისაც კი ჩემი „პრუდონი“ აქვთ საკომისსიოთ გაგზავნილი, მის ღირებული სხვა და სხვა ქართული სახალხო წიგნები გამომიგზავნონ შემდეგის ადრესით: Петровскъ-портъ „анкора“, г-зу Тоидзе, რითაც დიდათ დაგვავალებენ და ვალიც გარდაეხდებათ.

გიგო თოიძე

⁂ **შეცდომის გასასწორებლად.** ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვ ნება გვიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით თავიდგან ავიცილო ერთი ბრალდება: „ცნობის ფურცლის“ 463 №-ში ბათომიდგან ცნობა არის დაბეჭდილი შემდეგის სათაურით: „სამარცხვინო ხელობა და ცოცხალი საქონელი“, რაზედაც ხელს აწერს ავტორი ბათომელი ვ. ე. ჩიტაიშვილი.—ვინაიდგან მე სახელათ მქვია ვასილ და გვარათ ვარ ჩიტაიშვილი, იმ ამბავის დაწერას ზოგიერთნი მე მაბრალებენ, მხოლოთ გარჩევა თქვენი მოამბესა და ჩემ შუა მამის სახელშია: მე ვარ ვასილ ტრიფონის ძე ჩიტაიშვილი და არა ვ. ე. ჩიტაიშვილი, რაშიაც გთხოვთ დამიმოწმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში. *)

ვასილ ტრიფონის ძე ჩიტაიშვილი

⁂ **ს. აკეთი** (გურია). **პანაშვიდი მეფე ერეკლეზე.** კვირას, 22 თებერვალს, სოფ. აკეთში მაცხოვრის ეკკლესიაში წირვის შემდეგ მღ. ბესარიონ თოხაძისაგან გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის მეფე ერეკლე მეორის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო და აგრეთვე აკეთის ორ-კლასიანი სკოლის მასწავლებლები მოსწავლეებითურთ. პანაშვიდის შემდეგ მასწავლებელმა ა. გეგეჭკორმა წაიკითხა ვრცელი ბიოგრაფია მეფის ერეკლე მეორისა; ხალხი გულმოდგინედ უსმენდა და დიდად ნასიამოვნებიც დარჩა.

— **სკოლასთან ბაღის გაშენება.** როგორც შევიტყვე ბ-ნ ა. გეგეჭკორს გამოუწერია სოხუმიდამ 30 მანეთის მცენარეები, მაგრამ სამწუხაროდ, აკეთის ორ-კლასიანი სკოლის ეზო ჯერ შეუღობავია, იმედია, აკეთის მამასახლისი, პ. თოხაძე ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და მცენარეების მიღებამდის ეზოს შეაღობინებს. ამ საგნისათვის ბ-ნ ა. გეგეჭკორს უკვე გადაუცია მამასახლისისათვის 8 მანეთი, მაგრამ თუ მამასახლისმა რაიმე სხვა წყარო არ აღმოაჩინა, ეს მცირეოდენი ფული არ კმარა ეზოს შემოსაღობად.

ლავრენტი

⁂ **ს. სორტა.** (სამეგრელო) **ყვავილის გაჩენა.** ეს ერთი თვე სრულდება, რაც სოფელ სორტაში ყვავილმა იჩინა თავი. თუმცაღა პირველში გვარიანად იხდიდნენ, მაგრამ შემდეგ კი გაგულისდა. ავადმყოფობამ ერთს ოჯახში სამი ადამიანი იმსხვერპლა. მეორეში კი ორი. ასე და ამ გვარად ამ სენმა ხუთი თუ ექვსი ადამიანი კიდეც იმსხვერპლა. ამ დღეებში ცოტათი დაცხრა და იმედიცაა, რომ მალე მთლად მოისპოს.

— **ამინდი.** თებერვალმა პირველ რიცხვებში გაგვიღიმა, მაგრამ ბოლოს კი წიხლი გვდრუზა. თითქმის ისეთი დღე არ გვინახავს ამ თებერვალში, რომ აღმოსავლეთის ღონიერი ქარი არ ზუზუნებდეს. ახლა არის და ამავე ქარი თოვლით ქრის. ჩალით დახურული სახლებს სართულები ჩამოაცალა. ვნახოთ მარტი რას მოგვიტანს...

ტ. კოლხიდელი

⁂ **კავკავი. ქართული წირვა-ლოცვა მღვდელ-მთავრის ეკლესიაში.** სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ კავკავისა და მოზდოკის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ვლადიმირი დიდის მღვდელ-მთავრულის ყურადღებით ეპყრობა როგორც ყველა სხვა ხალხის, აგრეთვე ქართველთა ზნეობრივის მდგომარეობის საქმესაც. არც ერთს მღვდელ-მთავარს არ მიუქცევია ისეთი მწყემს მთავრული ყურადღება აქაურის ქართველებისათვის, როგორც ყოვლად სამღვდელო ვლადიმერმა ინება, რომელიც არც ერთს თხოვნას ქართველებისას უყურადღებოდ არ ტოვებს, პირიქით თვითონაც რჩევით თუ სხვა საშუალებით მზად არის ყოველივე კანონიერი მოთხოვნილება ქართველებისა სავსებით დააკმაყოფილოს. მკითხველებს ემახსოვრებათ, რომ ყოვ-დ სამღვდელომ კავკავის ქართველობას, რომელთაც საკუთარი ტაძრის აგების შეძლება არ აქვთ, ისეთის ტაძრის, რომელიც შეეფერებოდეს ქალაქის ადგილს, ნება დართო, რომ სკოლასთან აეშენეთ ჯერ-ჯერობით ერთი ოთახი ეკკლესიისათვის და შემდეგ თუ შეიძლებთ სრული ეკლესიის აშენებას, ის იქმნება, თუ არა და რამდენიმე ხანს სკოლაში აშენებული პატარა ეკკლესიაც საკმარისი იქმნებაო. რასაკვირველია ამ პატიოსანს აზრს მღვდელ-მთავრისას ყველა სიამოვნებით მიეგება. შარშან, დიდ-მარხვაში, სთხოვეს აქაურმა ქართველებმა ყოვლად სამღვდელოს ქართველი მღვდელი დაგვინიშნეთ, რომ გვილოცოს, გვაზიაროსო. მღვდელ-მთავარმა მაშინვე სამი კვირით დაუნიშნა ქართველი მღვდელი და მასთან დაუთმო კიდეც სასაფლაოს ეკკლესია. წელს დიდ-მარხვაში კიდევ სთხოვეს მღვდელ-მთავარს და, რადგანაც ამ ჟამად სასაფლაოს ეკკლესია შესაკეთებლად არის მოწყობილი და მუშაობა სწარმოებს, ამიტომ თავისი სასახლის ეკკლესია დაუთმო, დაიბარა ქართველი მღვდელი სოფ. სანებიდგან მამა ნესტორ ბიკურაძე, რომელმაც ორი კვირის განმავლობაში გამუდმებით უნდა სწიროს და ილოცოს ქართულად და აზიაროს აქაური ქართველები. დღესაც ქართველობა ბლომად დადის მღვდელ-მთავრის ეკკლესიაში და სიამოვნებით ისმენს სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვას, რომელსაც ამდენ ხანს მოკლებულნი იყვნენ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო.

კახაბერი

---

*) ვასილ ტრიფონის ძე ჩიტაიშვილს ჩვენთვის არ მოუწერია საზოგადოდ და ზემოდ ხსენებული შენიშვნა მას არ ეკუთვნის. რედაქც.

სასამართლოს მატიანე

შეიარაღებული წინააღმდეგობა მთავრობის მიმართ. 28 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში განხილულ იქმნა სოფ. კირცხის (ზუგ. მაზრა) 40 მცხოვრებთა საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ, რომ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას იარაღით ხელში.

საქმის გარემოება მოკლედ ასეთია. აზნ. გოშუათ და უგან. თავ. მინგრელსკის დიდი ხნიდანვე დავა ჰქონდათ ერთმანერთში ერთის ტყის შესახებ, რომელზედაც ორივე მხარე საკუთრების უფლებას აცხადებდა. ბოლოს და ბოლოს სადაო ტყე თავ. მინგრელსკის მფლობელობაში დარჩა სასამართლოს წესით და მან ეს ადგილი იჯარით მისცა გლეხებს. ამის დამნახველი აზნ. ალექსი გოშუა თავისი შვილებით და დრობით კალდებული გლეხებით თავს დაესხა მოიჯარადრე გლეხებს და განდევნა ისინი სადავო ადგილიდან. წესიერების დასაცველად მოვიდა პოლიციის ბოქაული ამაშუკელი, მაგრამ ალ. გოშუას მხარემ მას წინააღმდეგობა გაუწია და თოფის სროლა გამართა, რომელიც მხოლოდ მაშინ შესწყდა, როცა ვილაცამ ხმა დააგდო, მაზრის უფროსი თავ. დადეშქელიანი მოდისო. მეორე დღეს მართლაც მოვიდა დადეშქელიანი, რომელსაც აგრეთვე წინააღმდეგობა გაუწიეს, და მან შეიპყრო ალ. გოშუა და მრავალი სხვა მისი რაზმიდან. ქუთაისის ოლქის სასამართლომ ალექსი გოშუას და სხვა აზნაურებს მიუსაჯა ასტრახანის გუბერნიაში გადასახლება, სხვა ბრალდებულთ-კი, რიცხვით 10-ს, 8 თვით პატიმართა როტა.

სამოსამართლო პალატამ გააუქმა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი და იცნო-რა 40 ბრალდებული უბრალო მონაწილეებათ, მანიფესტის ძალით განათავისუფლა სასჯელისაგან. ხოლო აზნ. გოშუა უკვე გარდაიცვალა და მისი ბრალდებაც, რასაკვირველია, შეწყვეტილ იქმნა.

სამეურნეო დარიგება

პურის ჭია და მასთან ბრძოლა. საქართველოს მრავალს ადგილებში ძრიელ გავრცელებულია პურის ჭია, რომელიც სძოვს ახლად ამოსულ ჯეჯილს. ამის გამო ყანა ძრიელ თხელი და ცუდი ამოდის და ხშირად სრულებითაც სცდება ხოლმე. ეს ჭიები შეიძლება გაწყვიტოთ თუ თავის დროზე ჯეროვანს საშუალებას მიიღებთ. მაშინ ყანაც კარგი ამოვა და თავთავსაც რიგიანს გაიკეთებს. დღისით ეს ჭიები მიწაში იმალებიან 2 გოჯის სიღრმეზე. ჭია ბატის ფრთის სისქეა, სიგძით 1 დიუიმი. იგი ნაცრის ფერია, ხოლო თავი ქერა აქვს. შუა წელზე ორი ბრწყინვალე ზოლი გასდევს შავი წერტილებით და აქეთ-იქით გვერდებზე შავი ზოლები ამ ფერივე წერტილებით. შუა მუცელზე 4 წყვილი ფეხი აბია და წინ თავთან 3 წყვილი. ღამ-ღამობით ეს ჭიები გამოდიან და ჯეჯილსა სძოვენ. ჭიების გასაწყვეტლად საჭიროა ორმო ამოთხაროთ სიღრმით ½ არშინი და სიგანით ¼ არშინი. ღამე ამ ორმოში შეიკრიფებიან ჭიები. მაშინ უნდა გაშინჯოთ ორმო და შიგ ჩახოცოთ. ორმოები გუთნითაც შეიძლება გააკეთოთ. თუ ჯეჯილში ძრიელ გამრავლებულია ჭია, მაშინ გუთნით კვლები გარდა-გარდმო უნდა გაავლოს 3—4 საჟენის სიშორეზე ერთი-მეორედგან. ის ადგილები, სადაც კვლები ერთმანეთს გადაუხვევენ, ნიჩბით უნდა ამოღრმავდეს. ამ ორმოებში ღამე ჭიები შეიკრიფებიან და უნდა შიგ ჩახოცოთ. კარგია აგრეთვე ორმოებში ჩინჩხვლები ჩაყაროთ, რადგანაც ესენი მათ დახოცავენ. შემოდგომაზე როცა ყინვები დადგება, თუ რომელიმე მიწაში ძრიელ გამრავლებულია ჭიები, უნდა მიწა მოიხნას ორი-სამი გოჯის სიღრმეზე. ჭიები ამოცვივიან და რადგანაც სიცივის გამო მათ სიარულის თავი არ ექნებათ, ისრე დარჩებიან ზევიდგან ზამთარში. გაზაფხულზე კიდრე ისინი გამოერკვევიან ძილისაგან-ფრინველები შესჭამენ. გაზაფხულობით ჭიები იღვიძებენ, მაგრამ შემოდგომამდინ მათ ვნება არა მოაქვთ, რადგანაც ისინი მხოლოდ ჯეჯილს სძოვენ ხოლმე.

ჭ. გაბო

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1898 годъ.
(годъ второй)
на литературный, научный и политическій журналъ
„ЖИЗНЬ“

Выходитъ въ С.-Петербургѣ книгами большаго формата отъ 8—11 печатныхъ листовъ (128—176 стр. каждая) **три раза въ мѣсяцъ** (1, 11 и 21).

Подписная цѣна на годъ, за тридцать шесть книгъ, СЕМЬ рублей съ доставкой и пересылкой.

Въ каждомъ номерѣ:
VIII. Русская жизнь (внутреннее обозрѣніе).—IX За рубежомъ (заграничное обозрѣніе).

Ежемѣсячно:
X. На темы дня.—XI. Очерки и наброски изъ жизни провинціи.—XII. Научная хроника.—XIII. Журнальныя замѣтки.—XIV. Оборзъ историческихъ журналовъ XV.—Изъ иностранныхъ изданій.—XVI. Земская жизнь.—XVII. Народное образованіе.—XVIII. Письма изъ провинцій.—XIX. Заграничныя письма (изъ Франціи, Бельгіи, Англіи. Германіи и др.).—XX. Изъ жизни и литературы.

Подписная цѣна на „Жизнь“:

Съ доставкой и пересылкой:		За границу:	
На годъ	7 р.	На годъ	10 р.
„ полгода	4 р.	„ полгода	6 р.
„ 3 мѣсяца	2 р.	„ 3 мѣсяца	3 р.

Отдѣльный № безъ пересылки 40 к., съ пересылкою 50 к.

Лица, подписывающіяся на ½ и ¼ года, продолжаютъ подписку *безъ повышенія годовой цѣны.*

При обращеніи непосредственно въ контору „Жизни“ (С.-Петербургъ, Ковенскій пер., д. № 30), допускается разсрочка: при подпискѣ вносится 3 р., къ 1 апрѣля 2 р. и къ 1 іюля остальныя. (12—8)

1898. ОТКРЫТА ПОДПИСКА 1898.
на общедоступный, иллюстрированный, еженедѣльный журналъ
подъ названіемъ
„ЖУРНАЛЪ НОВѢЙШИХЪ ОТКРЫТІЙ И ИЗОБРѢТЕНІЙ“.

Въ теченіе 1898 года подписчики получатъ:

52 еженедѣльныхъ, иллюстрированныхъ номера, заключающихъ въ себѣ описаніе новѣйшихъ открытій и изобрѣтеній въ общепонятномъ и ясномъ изложеніи, доступномъ всякому развитому человѣку.

12 иллюстрированныхъ выпусковъ, заключающихъ въ себѣ слѣдующія сочиненія.
I. **Сельскохозяйственные промыслы.**
II. **Силы природы и пользованіе ими.**
III. **Самодвижущіеся экипажи: паровые, керосиновые, электрическіе.**

„Журналъ новѣйшихъ открытій и изобрѣтеній“ даетъ описаніе всѣхъ выдающихся современныхъ открытій и изобрѣтеній, въ ясномъ и общепонятномъ изложеніи, поясняемомъ рисунками. Онъ также знакомитъ читателей съ успѣхами техники въ Россіи и за границей, съ положеніемъ существующаго уровня промышленности и условіями возникновенія новыхъ выгодныхъ производствъ. Библіографическій отдѣлъ даетъ свѣдѣнія о новыхъ сочиненіяхъ на русскомъ и иностранномъ языкахъ по всѣмъ отраслямъ техники и естествознанія, а перечень привилегій снабжается краткимъ изложеніемъ сущности изобрѣтеній.

Подписная цѣна на журналъ вмѣстѣ со всѣми приложеніями съ пересылкою: на годъ—7 р., на ½—1 р., на 3 мѣсяца—2 р. 50 коп., за границу—10 р.

Адресъ редакціи: *С.-Петербургъ, Фонтанка, 68.*

Допускается разсрочка (при подпискѣ исключительно въ конторѣ Редакціи): При подпискѣ—3 р., въ Апрѣлѣ—2 р., въ іюлѣ—2 р.

(6—6) Редакторъ-издатель **Н. Песоцкій.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го Марта, 1898 г.
სტამბა ქ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია